

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1 ზოგადი ნაწილი	7
2 მომზადების საფუძველი	7
3 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4 ფულადი სახსრები.	12
5 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6 ძირითადი საშუალებები.	13
7 ინვესტიცია	13
8 სავაჭრო ვალდებულებები.	13
9 ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	14
10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14
11 ადმინისტრაციული ხარჯები.	14
12 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	14

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით


(1 ლარი)

აქტივები	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	110 894	201 712
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	200 284	136 529
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	43 681	119 331
სულ მოკლევადიანი აქტივები	354 859	457 572
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	724 470	483 529
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	562 404	562 404
სულ გრძელვადიანი აქტივები	1 286 874	1 045 933
სულ აქტივები	1 641 733	1 503 505
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	275 455	187 154
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0
საგადასახადო ვალდებულებები	27 020	9 881
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	302 475	197 035
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხი	0	274 988
დამფუძნებლის შენატანი	177 827	611 236
სულ გრძელვადიანი ვალდებულება	177 827	886 224
სულ ვალდებულებები	480 302	1 083 259
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 161 431	420 246
სულ საკუთარი კაპიტალი	1 161 431	420 246
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 641 733	1 503 505

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

_____ 
 _____ 

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

საქმიანობის შედეგები	31.12.2022	31.12.2021
ნეტო ამონაგები	6 642 446	3 981 167
გაყიდვების თვითღირებულება	-5 645 583	-3 417 472
საერთო მოგება	996 863	563 695
დასაქმებულთა ანაზღაურება	-223 443	-125 882
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-54 063	-14 486
იჯარის ხარჯი		0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-4 084	-5 920
სულ საოპერაციო ხარჯები	-281 590	-146 288
საოპერაციო მოგება	715 273	417 407
საკურსო სხვაობა	34 427	7 367
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	-8 515	-4 528
მოგება დაბეგვრამდე	741 185	420 246
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	1 161 431	420 246

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის


(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 01.01.2021	0	0	0	0
სხვა ცვლილება წლის მთლიანი სრული შემოსავალი		420 246		420 246
დივიდენდის განაწილება				
ნაშთი 31.12.2021		420 246		420 246
ნაშთი 01.01.2022	0	420 246	0	420 246
სხვა ცვლილება წლის მთლიანი სრული შემოსავალი		741 185		741 185
დივიდენდის განაწილება				
ნაშთი 31.12.2022		1 161 431	0	1 161 431

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



შპს ჯუბა ბეტონი**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მყიდველებისა და დამკვეთისაგან მიღებული ფულადი სახსრები	7 776 846	4 559 303
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-6 508 705	-4 135 510
გაცემული შრომის ანაზღაურება	-176 702	-100 944
გადახდილი გადასახადი	-192 849	-48 953
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-12 847	-2 501
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საოპერაციო საქმიანობიდან	885 743	271 395
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
დამფუძნებლის შენატანი	-433 409	611 236
ძირითადი საშუალებების შეძენა	-295 004	-396 265
ინვესტიცია	0	-562 404
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-728 413	-347 433
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	0	329 832
გაცემული/დაფარული სესხი	-239 196	-41 870
სესხის %	-7 587	-4 607
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი საფინანსო საქმიანობიდან	-246 783	283 355
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტზე	-1 365	-5 605
ფულადი სახსრების წმინდა ნაზარდი	-90 818	201 712
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისისთვის	201 712	-
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოსთვის	110 894	201 712

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2023 წლის 25 აგვისტოს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

შპს „ჯუბა ბეტონი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ჯუბა ბეტონი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2021 წლის 23 თებერვალი საიდენტიფიკაციო კოდით 400 303 995, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ფეიქრების ქ., N 14, (ნაკვეთი N3/49) კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის ძირითადი მეწილეები არიან:

ჯუმბერ მუმლაძე 40 %;

მურმან მუმლაძე 60%;

კომპანიის დირექტორია ჯუმბერ მუმლაძე

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა: ბეტონის წარმოება

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი საწარმოები და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2022 წლის კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და სალაროში.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

მანქანა დანადგარები - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალება/სპეც ტექნიკა- 10 წელი;

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი საადრიცხო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2022 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2. 7020 ლარი

1 EUR= 2. 8844 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2022	2021
ნაღდი ფული სალაროში	43 692	40 120
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	67 158	34 720
აშშ დოლარი ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	0,25	3 371
ევრო ადგილობრივ საბანკო ანგარიშზე	16,63	33 227

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2022	2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	196 446	136 517
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3 838	12
სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	0

2022 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე რომლის მიღებასაც კომპანიის მოელის წინასწარ განსაზღვრული ვადებში.

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

მიწა: საწყისი ღირებულება 110 000ლ

მანქანა დანადაგარები: საწყისი ღირებულება 87 505 ლ ცვეთა 5 184 ლ

სატრანსპორტო საშუალება/სპეც ტექნიკა

საწყისი ღირებულება 532 959 ცვეთა 62 341 ლ

7. ინვესტიცია

2021 წლის ნოემბრიდან კომპანია ფლობს 50% წილს შპს „ბ & დ კომპანი“- კომპანიაში

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2022	2021
სავაჭრო ვალდებულებები	275 455	187 155
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	27 020	9 881

31.12.2022 წ. მდგომარეობით, კომპანიის კრედიტორებს წარმოადგენს საქართველოს რეზიდენტი კომპანიები.

შპს ჯუბა ბეტონი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2022 წელს, კომპანიის ამონაგები შედგება:

საქონლის გაყიდვიდან	5 670 336
მომსახურების გაწევიდან	946 635

10. . რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის 2022 წლის რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება შედგება:

რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	4 947 530
სამშენებლო მომსახურების ღირებულება	698 053

11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2022 წლის ადმინისტრაციული დანახარჯი შედგება:

ოფისი ხარჯი	-7
საბანკო ხარჯი	-945
ქონების გადასახადის ხარჯი	-1867
სხვა ადმინისტრაციული და საერთო ხარჯი	-1265

12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 25 აგვისტოს.